საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

კ ო ნ კ უ რ ს ი

„საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა“ მემორიალის დიზაინისა და მაკეტის შექმნასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვაზე

2013 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. საკონკურსო განცხადება ---------- 3
2. ტექნიკური დავალება ---------- 6
3. ხელშეკრულების პროექტი ---------- 7

საკონკურსო განცხადება

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს კონკურსს **საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალის** დიზაინისა და მაკეტის შექმნასთან დაკავშირებულის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

2. **საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალის განთავსების ადგილი**: თბილისი, გმირთა მოედანი.

3. კონკურსის მიზანია აღნიშნული მემორიალისთვის საუკეთესო დიზაინის შერჩევა.

4. შესყიდვის ღირებულებაა – **10,000 ლარი** (**ყველა გადასახადის ჩათვლით**).

5. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის დაინტერესებული პირი იხდის **საფასურს 50 (ორმოცდაათი)** ლარის ოდენობით, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე (ანგარიშის რეკვიზიტები იხ. ვებგვერდზე: **www.procurement.gov.ge**)

6. საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყო წინადადებასთან ერთად, მაგრამ არა დალუქულ კონვერტში და უნდა შეიცავდეს:

- გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკულარ ნომერს და გადახდის თარიღს;
- შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელებასა და საიდენტიფიკაციო კოდს;
- კონკურსანტის დასახელებასა და საიდენტიფიკაციო კოდს;
- საკონკურსო განცხადების უნიკალური ნომერს.

7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება. ამასთან, მე-6 და მე-7 პუნქტის დარღვევით წარმოდგენილი საფასურის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

8. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

9. საკონკურსო წინადადება და მასზე დართული ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქული კონვერტით, ქართულ ენაზე და უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული.

10. საკონკურსო წინადადების მიღება იწარმოებს **2013 წლის 24 სექტემბრის 18 საათამდე**, შემდეგ მისამართზე: თბილისი, გენერალ ჯვინიტაძის №20, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ მიიღება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

11. საკონკურსო წინადადებასთან ერთად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს: იურიდიული პირის შემთხვევაში – ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომელიც ადასტურებს, რომ კონკურსანტის ქონებაზე არ არის რეგისტრირებული ყადაღა/აკრძალვა, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა და იგი არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში; ფიზიკური პირის შემთხვევაში – ცნობა საჯარო რეესტრიდან საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ. **აღნიშნული დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების შემდეგ.**

12. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო გზით, მიღება-ჩაბარებისა და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან 15 დღის განმავლობაში. კონკურსანტმა წინადადების ფასში უნდა გაითვალისწინოს **საავტორო ზედამხედველობის ხარჯი.**

13. საავანსო ანგარიშსწორება არ განიხილება.

14. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა წარმოადგინოს:

- მემორიალის დიზაინის ესკიზური ნახაზები;
- რენდერები;
- მაკეტი;
- კონკურსანტის სრული რეკვიზიტები

15. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს დიზაინისა და მაკეტის ერთი ან რამდენიმე ვარიანტი.

16. საკონკურსო კომისია მოახდენს კონკურსანტის დისკვალიფიკაციას, თუ:

16.1. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ არის წარმოდგენილი კანონმდებლობითა და ამ განცხადების მოთხოვნათა დაცვით, ან არ შეესაბამება საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

16.2. საკონკურსო წინადადებასთან ერთად კონკურსანტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო დოკუმენტს ან წარმოადგენს საკონკურსო პირობებთან შეუსაბამო საკვალიფიკაციო დოკუმენტს.

16.3. კონკურსანტი მოთხოვნილ ვადაში არ დააზუსტებს ან არ წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მოთხოვნულ დამატებით ინფორმაციას.

16.4. კონკურსანტი უარს განაცხადებს ხელშეკრულების გაფორმებაზე.

16.5. კონკურსანტი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

16.6. საკონკურსო წინადადების ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას.

17. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

17.1. შეფასება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- ვიზუალური მხარე – 1

17.2. შეფასება განხორციელდება ათ ბალიანი სისტემით.

17.3. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მხრიდან მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა.

17.4. ქულათა თანაბარი გადანაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

18. გამარჯვებული კონკურსანტი შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გადასცემს შემსყიდველს წარმოდგენილ დიზაინთან/მაკეტთან დაკავშირებულ ყველა საავტორო უფლებას.

19. ყველა წარმოდგენილი დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს დოკუმენტაცია PDF ფორმატში, ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოს 8 მგბ.

20. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

21. საკონკურსო პროცედურებთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირისგან: გიორგი ირემაძე, ტელ: 291-03-54, 577 19-66-19; ელ.ფოსტა: giremadze@mod.gov.ge , თბილისი, მარშალ გელოვანის №6.

22. შესყიდვის ობიექტთან (კონცეფცია, დიზაინი) დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირისგან: ლევან ჯორბენაძე, ტელ: 272-35-35, 577-39-39-79; ელ.ფოსტა: pr@mod.gov.ge, თბილისი, მარშალ გელოვანის №6.

ტექნიკური დავალება

1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს **საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალის** დიზაინისა და მაკეტის შექმნა.

2. დიზაინი შექმნისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

- აფხაზეთში, ე.წ. სამხრეთ ოსეთში, 2008 წლის ომში და საერთაშორისო მისიებში დაღუპულ გმირთა მემორიალის ერთ კომპოზიციად შეკრება;
- საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა სახელების განთავსება;
- მემორიალის შექმნისთვის გათვალისწინებულ უნდა იქნას მაღალი ხარისხის, გარე გამოყენების მასალები (ხანგრძლივი დროის განმავლობაში უნდა უძლებდეს ბუნებრივი ნალექებისა და ტემპერატურული ცვლილებების ზემოქმედებას);

3. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს გამოსაყენებელი მასალების ზუსტი დასახელება და მათი მიახლოებითი მოცულობები.

დანართი №1

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
პროექტი

ხელშეკრულების პირობების დაზუსტება მოხდენა კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების მომზადების პროცესში

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № -------

ქ. თბილისი «———» ——————— 2013 წ.

შემსყიდველი – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის ზაზა ბროლაძის სახით.
მისამართი: 0112, ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქ. №20.
სკ. 204900483.
საბანკო რეკვიზიტები: ანგ.№200122900 სახელმწიფო ხაზინა, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, კოდი TRESGE22

მიმწოდებელი – .....

მისამართი, ტელეფონი: _____

(იურიდიული და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის, საფოსტო, ელექტრონული მისამართები, ფაქსის ნომერი ოფიციალური შეტყობინებისთვის)

ხელმძღვანელი: _____

საბანკო რეკვიზიტები: _____

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი ----------

_____
(შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა, კლასიფიკატორის კატეგორიის, ქვეკატეგორიის, კლასის, ჯგუფის ან დანაყოფის კოდი)

სახელმწიფო შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეული იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, მხარეები შევთანხმდით შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2 „ხელშეკრულების ჯამური ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ზედმიწევნით შესრულებისთვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა:, „თვე", ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და დანართების (ფასების ცხრილი, გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი, ტექნიკური დავალება) შესაბამისად მიაწოდოს შემსყიდველს მომსახურება.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ——— ლარს და მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან და შემსყიდველისათვის საკუთრებაში გადაცემასთან, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელსა და სახდელს.

4. ანგარიშსწორება

4.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 30 დღის ვადაში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე.

4.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.

4.3 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო (საბანკო გადარიცხვა).

5. სტანდარტები

5.1 ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს:

6.1.1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილი პირ(ებ)ი – შეკვეთის მიცემის, შესრულების ვადების, მიღება-ჩაბარებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლის საკითხებზე;

6.1.2. სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მიერ გამოყოფილი პირ(ებ)ი 6.1.1 ქვეპუნქტით გაუთვალისწინებელ საკითხებზე.

6.2. კონტროლი განხორციელდება შემდეგი ფორმებით:

6.2.1. ხელშეკრულების და/ან შეკვეთის პირობებთან გაწეული მომსახურების ხარისხისა და რაოდენობის (მოცულობის) შესაბამისობის შემოწმება ვიზუალური (მათ შორის სპეციალისტის მიერ დათვალიერება), აზომვითი, ტექნიკური ან/და დოკუმენტური მეთოდით;

6.2.2. მომსახურების გაწევის შეთანხმებული ვადების და რაოდენობის (მოცულობის) დაცვის მონიტორინგი;

6.2.3. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კონტროლისა და ინსპექტირების ნებისმიერი მეთოდით.

6.3. კონტროლი ხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, გაწეული მომსახურების მიღებისას, აგრეთვე მიღების შემდეგ, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებობის პერიოდში.

6.4. კონტროლის განხორციელების ადგილია: მომსახურების გაწევის ადგილი და სხვა ნებისმიერი ადგილი შემსყიდველის არჩევანის მიხედვით.

6.5 კონტროლის განხორციელებისას მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" 22-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები.

7. მომსახურების მიწოდების პირობები

7.1. მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას, ხელშეკრულების 6.1.1. პუნქტში მითითებული პირების მიერ წერილობით შეკვეთის წარდგენის შემდეგ, ხელშეკრულების დანართებით განსაზღვრული პირობებით. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებაში მითითებული მისამართზე წერილის ჩაბარება შეუძლებელია მიმწოდებლის ბრალით (ახალი მისამართის შეუტყობინებლობა და ა.შ.), შეკვეთა ითვლება განხორციელებულად შეტყობინების გაგზავნიდან მე-2 დღეს.

7.2. შემსყიდველის (ხელშეკრულების პირობების 6.1.1. პუნქტში მითითებული პირების) მიერ შეკვეთის წარუდგენლობის შემთხვევაში, მომსახურების მიწოდებისა და მიღების უფლება-მოვალეობები არ წარმოიქმნება.
7.3. მიმწოდებელი ვალდებულია, მომსახურების ან ყოველი მისი ნაწილის გაწევისას წარადგინოს ხელშეკრულებით და კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაცია.

8. ხარისხი

8.1. გაწეული მომსახურების ხარისხი ერთდროულად უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულების დანართების (ფასების ცხრილი, ტექნიკური დავალება, მომსახურების გაწევის ჩამონათვალი) და საქართველოში მოქმედი სტანდარტების მოთხოვნებს.

9. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

9.1. მიმწოდებლის მიერ მომსახურების გადაცემა და შემსყიდველის მიერ მისი მიღება დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების (შემსყიდველის მხრიდან 6.1.1. პუნქტში მითითებული პირ(ებ)ის) მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.
9.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში, მომსახურების გაწევის თარიღად ჩაითვლება შემსყიდველისათვის მომსახურების ფაქტობრივად გადაცემის თარიღი (მიმწოდებლის წერილობითი შეტყობინება მომსახურების დასრულების შესახებ).
9.3. მომსახურების ფაქტობრივად გაწევა არ წარმოადგენს გაწეული მომსახურების საბოლოოდ მიღებას და არ წარმოშობს ანგარიშსწორების ვალდებულებას).
9.4. შემსყიდველი უფლებამოსილია, განაცხადოს უარი მომსახურების ან მისი ნაწილის მიღებაზე და მათ ანაზღაურებაზე, თუ:
9.4.1. იგი უხარისხოა (მათ შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის შეუსაბამო);
9.4.2. გაწეულია ხელშეკრულებაში ან/და მოთხოვნაში (შეკვეთაში) მითითებულ რაოდენობაზე მეტი ოდენობით (ნამეტის ფარგლებში);
9.4.3. გაწეულია ხელშეკრულებაში ან/და მოთხოვნაში (შეკვეთაში) მითითებულ რაოდენობაზე ნაკლები;
9.4.4. სრული მოცულობით არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია;
9.4.5. ხარვეზების გამოსწორება შეუძლებელია;
9.4.6. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.5. გაწეული მომსახურების (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

10. უფლებების გადაცემა

10.1. დაუშვებელია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების მთლიანად ან ნაწილობრივ სხვა პირისთვის გადაცემა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომლის გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში, უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება ამ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2. თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% მეტი ოდენობით გაზრდა.

12.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ორმხრივად ხელმოწერილი წერილობითი დოკუმენტის შედგენით, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12.6. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანის დოკუმენტს ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, დაეკისრება შემსყიდველისათვის შემდეგი ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა:

13.1.1. მომსახურების მიუწოდებლობისათვის (მათ შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, უხარისხო, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) ხელშეკრულების ღირებულების 0,2% თითოეულ შემთხვევაში.
13.2. პირგასამტეხლოს დარიცხვის მიუხედავად, შემსყიდველი უფლებამოსილია:
13.2.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, შეწყვიტოს ან შეინარჩუნოს ეს ხელშეკრულება;
13.2.2. მიღება-ჩაბარების აქტი გააფორმოს მომსახურების მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც შეესაბამება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხოლო მომსახურების იმ ნაწილზე, რომელიც არ შეესაბამება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს დაარიცხოს პირგასამტეხლო 13.1.1. ქვეპუნქტის შესაბამისად;
13.3. შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურების შეთანხმებულ ვადაში მიმწოდებლისათვის გადაუხდელობის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება მიმწოდებლისათვის პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე გადაუხდელი თანხის 0,2 %-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს გადაუხდელი თანხის 2 %-ისა.
13.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისგან.
13.5. დღეების მიხედვით დარიცხვადი პირგასამტეხლოს დარიცხვა წყდება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ.
13.6. თუ ხელშეკრულების შეწყვეტის ან მოქმედების ვადის გასვლის გამო დღეების მიხედვით პირგასამტეხლოს დარიცხვა ვერ ხორციელდება ან დარიცხული პირგასამტეხლოს ჯამი იქნება ხელშეკრულების ღირებულების 2%-ზე ნაკლები, მიმწოდებელს დაეკისრება მხოლოდ ფიქსირებული პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:
ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად, თუ მეორე მხარე არ/ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, რის თაობაზეც ამ მეორე მხარეს წერილობით მიეცა გაფრთხილება და ამ დარღვევის გამოსასწორებლად მიეცა დამატებითი ვადა არანაკლებ --- დღის ოდენობით. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუ აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არ ან არაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მხარეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

14.2. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს:
ა) იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა ან/და მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებად გამოიყენება (ამ მოთხოვნის არსებობის პერიოდში);

ბ) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულებისაგან (ზიანის არსებობის შემთხვევაში).

14.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ფორს-მაჟორი

15.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს-მაჟორის შემთხვევაში, როდესაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია.

15.2. „ფორს-მაჟორის“ ქვეშ იგულისხმება გარემოება, რომელიც არ არსებობდა ამ ხელშეკრულების დადებისას და რომლის თავიდან აცილება, ან გადალახვა მხარეს არ შეეძლო, კერძოდ: საომარი მდგომარეობა/საბრძოლო მოქმედება, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, ავარია, გაფიცვა, ეპიდემია, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება და სხვა მსგავსი გარემოებანი.

15.3. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ (ფორს-მაჟორის დადგომიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა) აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებადობის შესახებ. შეუტყობინებლობის ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი უნდა დადასტურდეს.

15.4. ფორს-მაჟორის მიუხედავად მხარე, რომლისთვისაც ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება, კეთილსინდისიერებისა და გონიერების ფარგლებში, მიმართავს ვალდებულების შესრულების ყველა შესაძლო ალტერნატიულ ხერხს.

15.5. თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა 30 დღეზე მეტ ხანს გრძელდება, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის ამ ხელშეკრულებასა ან მის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სადაო საკითხი მოლაპარაკების მეშვეობით მოაგვარონ.

16.2. თუ სადავო საკითხი მოლაპარაკებით ვერ მოგვარდა, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. გადასახადები და დაბეგვრა

17.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

18. შეტყობინება

18.1 თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა

წარმოებს წერილობითი ფორმით და იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით ან მიეწოდება უშუალო ადგილსამყოფლის მიხედვით. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18.2 შემსყიდველის მიერ შეტყობინება მიწოდებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მან შეტყობინება გაგზავნა მიმწოდებლის ყოფილ მისამართზე, რომელიც მიმწოდებელმა შეცვალა, მაგრამ ამის თაობაზე არ აცნობა შემსყიდველს. ამ შემთხვევაში შეტყობინება მიწოდებულად ითვლება გაგზავნის მეორე სამუშაო დღეს.

19. სხვა პირობები

19.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის ——— ჩათვლით

19.2 ხელშეკრულების დანართები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

19.3 ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

19.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ——— ეგზემპლარად.

შემსყიდველის მხრიდან:	**მიმწოდებლის მხრიდან:**
.....	.....